



N გ-3990
01/12/2022

3990-გ-2-202212011038



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ვენერა მეტრეველს

ქალბატონო ვენერა,

შპს „საქართველოს მელიორაცია“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2022 წლის 21 ნოემბრის N21/7094 წერილი, რომელიც ეხება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახიდურში, შპს „გეოკროპ“-ის მიერ, ნუშის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად სარწყავი სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენას.

განსახილველად წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის თანახმად, სისტემა მოიცავს მილსადენით შეერთებულ არსებულ და საპროექტო რეზერვუარებს, მათ შემავსებელ მილსადენებს და წვეთოვანი მორწყვის ქსელს. არსებული რეზერვუარი ემსახურება განაშენიანების არსებულ ფართობს 34 ჰა-ზე. არსებული რეზერვუარის შევსება განხორციელდება მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე მოსაწყობი სატუმბი სადგურით, რომლის წარმადობაა 20 ლიტრი/წამში და სარწყავ არხზე არსებული სატუმბი სადგურით, რომელიც განთავსებულია კომპანიის კაპიტალში რიცხული იმირასანის არხის მარცხენა ნაპირზე 3-4 მეტრის მოშორებით კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 80.02.71.380). არსებული რეზერვუარიდან წყალი მიეწოდება საპროექტო რეზერვუარს, რომლის სრული მოცულობა 1155 მ³-ია. სკრინინგის ანგარიშის მიხედვით არსებული რეზერვუარის შემავსებელი მილსადენი იმირასანის ღია ტიპის არხს გადაკვეთს საჭაერო ტექნიკური გადაწყვეტით.

მდინარე მაშავერადან წყლის აღება დაგეგმილია 7 თვის (მარტიდან სექტემბრის ჩათვლით) განმავლობაში 0,02 მ³/წმ-ის (20 ლიტრი/წამში), ხოლო სამელიორაციო არხიდან იმავე პერიოდში 0,005 მ³/წმ-ის (5 ლიტრი/წამში) ოდენობით.

სკრინინგის წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ კომპანიის შენიშვნებს და მოსაზრებებს:



- სატუმბი სადგურის და სადაწნეო მილის მოწყობის, სადაწნეო მილით იმირასანის არხის კვეთის ტექნიკური პირობები უპირობოდ უნდა იქნეს შეთანხმებული კომპანიასთან, ხოლო შემდეგ უნდა განხორციელდეს მათი მშენებლობა. აქვე გაცნობებთ, რომ იმირასანის არხის მარცხენა ნაპირზე არსებული სატუმბი სადგური განთავსებულია არხის გასხვისების ზოლში, რაც ყოვლად დაუშვებელია. არხის გასხვისების ზოლი აღნიშნულ მონაკვეთზე „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს 6-6 მეტრს საექსპლუატაციო გზის ჩათვლით, არხის ორივე მხარეს. შესაბამისად უნდა მოხდეს არსებული სატუმბი სადგურის გასხვისების ზოლის გარეთ გატანა.
- გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მდინარე მაშავერადან წყლის აღება ირიგაციული დანიშნულებით ხორციელდება სამელიორაციო სისტემებისთვის. მდინარეში წყლის რაოდენობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე და წყალსაცავში აკუმულირებული წყლის რაოდენობაზე.
- მდინარიდან წყალაღების წერტილი მდებარეობს მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე, კომპანიის კაპიტალში რიცხული იმირასანის არხის სათავე ნაგებობასა და იმავე არხზე არსებულ „ჭაპალა ჰესს“ შორის. ვინაიდან კომპანია აღნიშნულ მონაკვეთზე არეგულირებს მდინარეში გაშვებული წყლის რაოდენობას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წყლის მიწოდების მომსახურებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმდეს კომპანიასთან, რაც შპს „გეოკორპს“ კომპანიის მხრიდან ეცნობა 2021 წლის Nგ-3987 წერილით.

შესაბამისად, კომპანიის შენიშვნების გათვალისწინებით, სკრინინგის ანგარიში ექვემდებარება კორექტირებას.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი


